ხელშეკრულება N153
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი **10 ოქტომბერი 2019 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი“, დირექტორის თამილა თეიმურაზიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, სს ქებული კლიმატი (202283242), შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ არზიანის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ორი ცალი HELIOS MV 315-ის შესყიდვა წინამდებარე ცხრილის შესაბამისად :

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ.	ფასი	ჯამი
1	არხული ვენტილატორი HELIOS MV 315	2.00	ცალი	914.04	1,828.08
ჯამი დღგ-ს ჩათვლით				1,828.08	GEL
გადასახდელი: ერთი ათას რვაას ოცდარვა ლარი და 08 თეთრი				1,828.08	GEL

1.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.
1.3 შესყიდვის ტიპი: მონეტარული ზღვრის დაცვით.
1.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 31110000 - ელექტროძრავები.
1.5 დაფინანსების წყარო: 2019 წლის საკუთარი შემოსავლები.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღე.
3.2. მიწოდების ადგილი თელავი, აღმაშენებლის N14.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.
4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის შესახებ.
4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. პირობების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.
4.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი და მომსახურება დადგენილ ვადებში;

4.5. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1828.08 (ერთი ათას რვაას ოცდარვა ლარი და 08 თეთრი)** ლარს.

6.2. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. საქონლის ღირებულების გადახდა ხდება სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.2. მიწოდებული საქონლის სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

8. გარანტია

8.1. მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება საგარანტიო პირობები.

8.2.გარანტიის ვადის ათვლა იწყება საქონლის მიწოდების თარიღიდან (სასაქონლო ზედნადების გამოწერის დღე/ ან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე) და შეადგენს 1 (ერთი) წელს.

8.3. იმ შემთხვევაში თუ საგარანტიო 1 წლის ვადაში გამოვლენილი იქნება მიწოდებული საქონლის წუნი, ,,შემსყიდველი'' წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს'' აღნიშნულის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დაადგინოს წუნის გამომწვევის მიზეზი. იმ შემთხვევაში თუ პროდუქციის გაუმართაობა გამოწვეულია ქარხნული წუნის გამო, ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი ხარჯით, 10 სამუშაო დღეში აღმოფხვრას გაუმართაობა. იმ შემთხვევაში თუ გაუმართაობის აღმოსაფხვრელად საჭიროა პროდუქციის საზღვარგარეთიდან ჩამოტანა, გაუმართაობის გასწორების ვადებზე შეთანხმება ხდება დამატებით, გონივრულობის ფარგლებში.

8.4. საგარანტიო პირობები არ მოქმედებს თუ ნაკლი გამოწვეულია ,,შემსყიდველის'' ბრალით, მათ შორის პროდუქციის არასწორი ექსპლუატაციით.

8.5. გარანტიის მოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ,,შემსყიდველის'' მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საფასურის სრულად გადახდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად.

10.2.დავის სასამართლო განსჯადობის მიზნისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

12. სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

12.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ელექტრონულად და ინახება როგორც მხარეებთან, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი“

ს.კ. 231184232

ქ. თელავი, ალადაშვილის ქ. N2

დირექტორი

თამილა თეიმურაზიშვილი

„შემსყიდველი“ ----------

LTD Childrens Health Center

Digitally signed by LTD Childrens Health Center
Date: 2019.10.16 11:12:25 +04'00'

სს „ქებული კლიმატი“

მის: ქ. თბილისი, ბელიაშვილის 40
ს.კ. 202283242
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი

ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგN GE41PC0223600100005176
დირექტორი
თემურ არზიანი

„მიმწოდებელი“ ----------

JSC Qebuli Climate

Digitally signed by JSC Qebuli Climate
Date: 2019.10.16 13:10:49 +04'00'